

საქართველო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ლ ე ლ ო

Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 65 (1391) ო საშუაბათი, 2 ივნისი, 1959 წ. ო გამომცემის 80-15 წელი. ო ფასი 80 კაპ.

სამი პირველი აღვილი

ლუცერნაში დამთავრდა ევროპის პირველობა კრივში, რომელშიც მონაწილეობდა კონტინენტის 180 უძლიერესი მოკრივე. ნახევარფინალებში იბრძოდა 40 სპორტსმენი, რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები ვ. სტოლინიკოვი, ო. გრიგორიევი, ვ. ენგიბარიანი, გ. შატკოვი, ლ. სენკინი და ა. აბრამოვი. საბჭოთა გუნდს მეტოქეობას უწევდა პოლონეთის კოლექტივი, რომლის 7 წარმომადგენელი გავიდა ნახევარფინალში.

ვ. ენგიბარიანი ნახევარფინალში შეხვდა ავსტრიელ რ. კენიგს. საბჭოთა სპორტსმენმა მოწინააღმდეგეს პირველივე წამებზე შეეღტა, მეტად ძლიერი დატყემა მოაყენა კორპუსში და რ. კენიგი იატაკზე დაეცა. ნოკაუტის ეს ბრძოლა 30 წამს გაგრძელდა. ფინალში ვ. ენგიბარიანი შეხვდა იტალიელ პ. ბრანდის და მოიგო გადამწყვეტი ბრძოლა. ამრიგად, საბჭოთა სპორტსმენმა შეინარჩუნა ევროპის ჩემპიონის სახელი პირველ ქვესაშუალო წონაში.


უმჯობესე წონაში ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი ვ. სტოლინიკოვი ნახევარფინალში შეხვდა უნგრელ დ. ტერეკს. პირველ ორ რაუნდში ბრძოლა გარდაუვალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მესამე რაუნდში მცირე უპირატესობით მოიგო უნგრელმა მოკრივემ.

მძიმე წონაში ა. აბრამოვი დაამარცხა შვეიცარიელი გ. ბეზიგერი, ხოლო ფინალში მოუგო შეხვედრა ინგლისელ ტომას ა. აბრამოვი კვლავ ევროპის ჩემპიონი გახდა. მეორე საშუალო წონაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. შატკოვმა ადვილად მოუგო ნახევარფინალური ბრძოლა ირლანდიელ მაკოის და ფინალში დაამარცხა პოლონელი ტ. ვალასკი.

წონითი კატეგორიების მიხედვით კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ: პომბერგი (გფრ), ბიუპნერი (გდრ), ადამსკი (პოლონეთი), მიაკი (ფინეთი), ენგიბარიანი (სსრ კავშირი), დროგოვი (პოლონეთი), ბენვენუტი (იტალია), შატკოვი (სსრ კავშირი), პეტროვი (პოლონეთი) და აბრამოვი (სსრ კავშირი).

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ძალოსნობაში კ. ჩალათაშვილს (თბილისი, „ბურვეესტნიკი“). რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება ძალოსნობაში მიენიჭა: გ. კოშაძეს (თბილისი, „კოლმეურნე“), კლასიკურ და თავისუფალ ჰიდაობაში — ს. გელაძეს (თბილისი, „ბურვეესტნიკი“)



საბჭოთა სპორტსმენები ევროპის ჩემპიონატის დროს.

საბჭოთა კავშირის ნაკრები — ევროპის ჩემპიონი

გასულ კვირას „მეტატი ფაშას“ სტადიონზე უკანასკნელად აფრიალდა წითელი ალამი. ევროპის ჩემპიონატის საზეიმოდ დახურვის წინ სტამბოლმა კიდევ ერთხელ მოისმინა საბჭოთა კავშირის პიონი — ამჟერად როგორც ჩემპიონის გამარჯვების სიმბოლო. ჩვენი ნაკრები გუნდს კაპიტანმა მ. ვალდმანისმა საზეიმოდ მიიღო გარდაუვალი ჯილდო და ჩემპიონატი დაიხურა.

10 დღის მანძილზე ევროპის 17 ქვეყნის კოლექტივი იბრძოდა საბატიო პირველი ადგილისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ნაკრები ამ ტურნირში უდავოდ უძლიერესი გუნდი იყო, ოქროს მედლებისათვის ბრძოლას წუთითაც არ დაუკარგავს სიმძაფრე.


უკანასკნელმა შეხვედრებმა საბოლოო კორექტივი შეიტანეს პირველი ოთხეულის განლაგებაში. საბჭოთა გუნდმა გადამწყვეტი მატჩში დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები (88:72), უნგრეთმა უადრესად დაძაბულ ბრძოლაში ძლია საფრანგეთს — 62:60, ხოლო ჩეხოსლოვაკიამ — უნგრეთს — 71:61.

სამმა გუნდმა დააგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა. საქმეში ჩაერია მათემატიკა, რომელმაც ცხადყო (ჩაგდებული და მიღებული ბურთების შეფარდებით) ჩეხების უპირატესობა. ჩეხოსლოვაკია გამოვიდა მეორე ადგილზე, საფრანგეთი — მესამეზე, უნგრეთი — მეოთხეზე. აი ის ქულები, რომელთა მიხედვითაც მოხდა საბჭოთა ადგილების განაწილება: ჩეხოსლოვაკია — 7, საფრანგეთი — 1, უნგრეთი — 8.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჩემპიონატში სულ 9 შეხვედრა ჩატარა, მოიგო ყველა ბურთების საერთო შეფარდებით 700:491. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდი საშუალოდ ყოველ თამაშს იგებდა 20-21 ქულის განსხვავებით. საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდასხმა ჩემპიონატში ყველაზე შედე-

განი იყო, ხოლო დაცვა ყველაზე მტკიცე და გაუვალი.

ჩვენი გუნდის ძირითადი დამრტყმელი ძალა იყო პირველი საბრძოლო ხუთეული, რომელიც უმეტესად ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: მ. ვალდმანისი, გ. მინაშვილი, ვ. ზუბკოვი, ა. ბოჩკარი, მ. სემიონოვი. ამ ორ უკანასკნელს ზოგჯერ ცვლიდა ხოლმე ი. კორნეევი. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ გამარჯვება მოიპოვა სწორედ ამ ხუთეულმა. საქმე იმაშია, რომ შემადგენლობის დაყოფა ორ ხუთეულად ჩვენი მწვრთნელების ტაქტიკური ხერხი იყო. ისინი შემადგენლობას ცვლიდნენ ამთავრებულ კონკრეტული პირობების შესაბამისად და უმეტესად მატჩის ბედს ამ ორი ჯგუფის



შეჯიბრებაზე დასასრულის მოახლოება განსაკუთრებით იგრძნობოდა XII ტურში. ამ დღეს დამთავრდა მხოლოდ ოთხი პარტია. ყურადღების ცენტრში იყო გურგენიძე-ბლაგიძის, ბუსლაევი-შეშოვისა და დემურია-გაფრინაშვილის შეხვედრები. სამივე პარტიაში ბრძოლა მეტად მწვავედ მიმდინარეობდა. ბლაგიძე, რომელმაც ფრანგული დაცვა აირჩია, გარკვეულ დრომდე შესანიშნავად აწარმოებდა დაცვას, მაგრამ უმნიშვნელო შეფერხების შემდეგ გურგენიძემ განახორციელა ორი პაიკის გონებაზაბილური შეწირვა და ძლიერად შეუტია შვეების მეფეს. შემდგომ გურგენიძემ ალაღვინა მატერიალური

ფის გონიერული ცვლა და შერწყმა წყვეტდა.

საბჭოთა კალათბურთელებმა მძალადუნებთან ერთად კარგი საბრძოლო თვისებები და მორალური სიმტკიცე გამოავლინეს. იყო შეხვედრები, რომლის პირველ ნახევარს ჩვენი აგებდნენ და მხოლოდ ძალების მაქსიმალური დაძაბვით და დაეგანწირვით ახერხებდნენ რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევას. ასე იყო კერძოდ, ბულგარელებთან შეხვედრაში. მაგრამ დღეს უკვე ყველაფერი უკან დარჩა და საბჭოთა კალათბურთელებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს სამამულო სპორტის ისტორიაში. აი ისინი — ჩემპიონები: მ. ვალდმანისი, გ. მინაშვილი, ვ. ზუბკოვი, ა. ბოჩკარი, მ. სემიონოვი, ი. კორნეევი, ი. კრუმინი, ვ. მუიენიკი, ვ. ტორბანი, გ. ვოლოვი, მ. სტუდენეცი, ა. პეტროვი და მათი გამარჯვების „თეორეტიკოსები“, მწვრთნელები ს. სპანდარიანი და ა. გომელსკი.

გარკვეულ წარმატებას მიიღწიეს ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა, რომლებმაც ვერცხლის მედლები ჩამოართვეს ბულგარელებს. მოგვეყვას გათამაშების ცხრილი: თ. მ. წ. ქ. სსრკ 8 3 0 3 ჩეხოსლოვაკია 3 1 2 1 საფრანგეთი 3 1 2 1 უნგრეთი 3 1 2 1 დო ინიციატივა. კომბინაციის დასასრულს დემურის ზედმეტი ხარისხი დარჩა. რამდენიმე სვლის შემდეგ გაფრინაშვილი დანებდა. ვეტონინმა დაამარცხა წერეთელი. პოზიციური თამაშით აღინიშნა მეგრელიშვილი-ლომაიის შეხვედრა. ლომიაიმ გეგმური გაცვლებით თავისი მხედარი გამაგრა ცენტრალურ უჯრაზე, ხოლო შემდეგ შექმნა ძლიერი გამსვლელი პაიკი, რომელშიც ბოლოს მეგრელიშვილმა ფეხურა მისცა. 44-ე სვლაზე იგი დანებდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. XII ტურის შემდეგ გურგენიძეს 10 ქულა აქვს, ბუსლაევს — 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, მუჟაბარაიანს და ვეტონინს — 7 ქულა თვითუღს და თითო გადადებული პარტია, თ. გიორგაძეს — 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ჯანოვს 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ბლაგიძესა და გაფრინაშვილს — 6 ქულა თვითუღს, შიშოვისა და გამრეკელს — 5,5 ქულა თვითუღს და თითო გადადებული პარტია.

ალამი ფრიალებს ანძაზე

რესპუბლიკის მოსწავლე სპორტსმენებს ამ დღეებში საზრუნავი თავსებადრეადა აქვთ. საკუთარი კოლექტივის წარმატებისათვის ბრძოლა, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში მოხვედრა — ესაა ნორჩ ფეხბურთელები, მძლეოსანთა, ტანმუჯარაშეთა, მოცურავეთა, ჩოგბურთელები, ველოსიპედისტთა და სხვა სახეობათა წარმომადგენლების უახლოესი საპროგრამო ამოცანა. სულ რამდენიმე კვირის შემდეგ საკირო გახდება უფრო დიდ ასპარეზზე — მოსკოვში, რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა. არავინ იფიქროს, რომ მომავალი ჩემპიონები და ჩემპიონის ბიძები ამ დღეებში ელოდნენ ამ ტიტულს. რესპუბლიკური სპორტკლადის ყოველ მოწაწილეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი — მოხვდეს საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და ღირსეულად დაიცვას იმ კოლექტივის სახელი, რომელიც საბჭოთა კავშირში უძლიერესია.

... სპორტსმენები მწყობრი ნაბიჯით შემოვიდნენ „დინამოს“ სტადიონის მოედანზე და საზეიმო ცერემონიალის მოლოდინში განლაგდნენ დასავლეთის ტრიბუნის წინ. მაყურებელთა თვალი აღფრთოვანებით შეცქერის ტანად, წარმოსადგე კაბუეებსა და გოგონებს, რომელთა სახითაც ლაპარაკობს სიცოცხლე, სიხალისე და გაფხუბი, ხოლო სპეციალისტის ფეხზელი თვალი ხედავს უფრო მეტს, უფრო შორს იუხრება. უძლიერესთა რიგებში აღარაა ბევრი შარშანდელი ჩემპიონი და პრიზორი. მათ ასაკის გამო გადაინაცვლეს უფროსებში. სპორტსმენებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ა. მ. გ. ჯიბლაძემ V საკავშირო სპორტკლადის ჩემპიონებმა მ. ნინოვილიმა და ლ. იევლევა ამმართეს მოსწავლეთა ზეიმის გახსნის ალამი. დაიწყო შეჯიბრებები ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ცურვასა და ჩოგბურთში. * * * სურათზე: პარადის მონაწილეთა საზეიმო სვლა.

დუშეთიან გვაგობინაჲს

დუშეთის სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ზონალური სპორტკაციალის ფინალი. სპორტსმენებს მიესალმა დუშეთის პარტიის რაიკომის მდივანი ა. ჩოხელი. სპორტკაციალის პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება სპორტის სამ სახეობაში.

ტანვარჯიშიში მონაწილეობდა მხოლოდ 4 რაიონის გუნდი. გუნდურ ჩათვლაში პირველობა დაისაკუთრეს დუშეთლებმა, ხოლო ვაჟთა შორის უძლიერესნი იყვნენ ა. მისურაძე (დუშეთი) და თ. ციმაკურიძე (მცხეთა), ქალთა შორის ს. ხუროძე (დუშეთი). სროლაში პირველობისათვის იბრძოდა 7 რაიონის გუნდი. ჩემპიონობა მოიპოვეს ბოლნისელებმა.


მძლეოსნობაში 12 სპორტსმენმა შეასრულა III თანრიგის, ხოლო ოთხმა მეორე თანრიგის ნორმა. ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის

ჩემპიონის სახელი მოიპოვა დუშელმა ნ. ბუჩუკურმა, ხოლო ვაჟთა შორის აგრეთვე დუშელმა გ. გულაშვილმა. 100 მეტრზე რბენაში პირველი იყო ლ. ბერძენიშვილი, გოგონათა შორის ვ. ნამგალაური. 800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა წალკელმა ა. კაუშლიევამ, ხოლო ვაჟთა შორის დმანისელმა გ. მარკინმა. დუშელს გ. საქუაშვილსა და ს. ჩხუტაშვილს დარჩათ პირველობა სიმაღლეზე ხტომაში. კვლავ ისახელა თავი ვ. ნამგალაურმა, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში.

საერთო პირველი ადგილი მძლეოსნობაში მოიპოვეს დუშელმა სპორტსმენებმა, მეორე — მცხეთელებმა, მესამე — მარნეულელებმა.

სპორტკაციადა გრძელდება.

ი. ხაბიშვილი



რესპუბლიკაში

ნაკომადგენელთა დუშეთის ზარადრებიან მათი გუნდები

მწვევე სპორტულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ზონალური სპორტკაციალის უკანასკნელი დღეები ცხაქაიაში. ზუგდიდისა და ცხაქაიის კალათბურთულ ქალთა გუნდების შეხვედრისას ზუგდიდის გუნდის წარმომადგენელმა ა. ბაკურაძემ გამარჯვების მისაღწევად ორ გზას მიმართა და მონაწილეების რ. გელენიძისა № 5 და ნ. ჩიჭოვანის № 3-ის ნაცვლად ორი ოჩაჩიურელი კალათბურთელი შემოაპარა. როდესაც საქმე გაიჩინა, მან ორივე სახელდასხელოდ გადაჭრა და სცადა მსაჯთან კოლეგიის შეცდომაში შეყვანა. ამის გამო ზუგდიდის გუნდს დამარცხება ჩაეთვალა. ვაჟთა შეხვედრაში აშკარა იყო ცხაქაიელთა უპირატესობა, რომლებმაც დამარცხებელი გამარჯვება მოიპოვეს ზუგდიდელებზე — 65:49. აღსანიშნავია, რომ ქულათა ნახევარზე მეტი — 34 ცხაქაიის გუნდს მოუტანა მზარდმა სპორტსმენმა დ. ადამიამ. ცხაქაიელთა გამარჯვებით დამთავრდა შეხვედრები ფრენბურთშიც. ქალებმა ანგარიშით 2:1, ხოლო ვაჟებმა ანგარიშით 2:0 დამარცხეს ზუგდიდელები.

კარგი ამინდისა და შესანიშნავი საგზაო პირობების მიუხედავად, ცუდი შედეგი იქნა ნაჩვენებები ველოსპორტში. საილუსტრაციოდ საქმარისია ითქვას, რომ შეჯიბრებაში მონაწილე 27 III და II თანრიგისონიდან მხოლოდ ხუთმა ვაჟმა და სამმა ქალმა შეასრულა სათანადო ნორმატივი. წარმატებით გამოვიდა აბაშის გუნდი, რომელმაც ზუგდიდის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მათი წარმომადგენელი ვ. ჩოჩია პირველი იყო ქალთა შორის 10-კილომეტრიან რბოლაში — 21:33,0. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ზუგდიდელი ბ. ისმაილოვი, რომელმაც 20 კილომეტრი 34:04,7 წუთში დაფარა.

სპორტკაციალის პროგრამის

ძარღვს წარმოადგენდა ქართული ჰიდაობა, რომელშიც საქართველოს რამდენიმე უძლიერესი მოქიდავე მონაწილეობდა. უმჩატეს წონაში ა. ძაძაძისა (ცხაქაია) და ზ. მონასელიძის (ზუგდიდი) შეხვედრაში ამ უკანასკნელმა ტრავმა მიიღო და ა. ძაძაძიამ დაუბრკოლებლად მიადგინა პირველ ადგილს. მომდევნო ოთხ წონით კატეგორიაში გამარჯვებულები ისევ ცხაქაიელები ვ. ჩიქვაძე, ფ. ოდიშვილი, ნ. ბესელია და ბ. ჩაჩიბია გამოვიდნენ. საშუალო წონაში მესტიელმა ლ. ჯაფარიძემ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს ჩემპიონ გ. სულაშვილს (ზუგდიდი), მაგრამ ქულებით დამარცხდა და მეორე ადგილზე გამოვიდა. ქვემძიმე წონაში გაიმარჯვა ა. რურუამ (ცხაქაია), ხოლო მძიმე წონის მოქიდავეების — თბილისის ორგზის ჩემპიონის შ ჩიკვიძისა (ცხაქაია) და ახალგაზრდა გ. გზირიშვილის შეხვედრაში მსაჯებმა გამარჯვება ამ უკანასკნელს მიაკუთვნეს. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მესტიელმა სპორტსმენებმა კარგი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს და ღირსეულად მოიპოვეს მეორე ადგილი ცხაქაიის შემდეგ. სამწუხაროდ, ეს არ ითქმის გეგმპრობისა და ხობის გუნდებზე, რომლებმაც მეორე წრეში საერთოდ თავი აარიდეს ჰიდაობას. უნდა ითქვას, რომ მსგავსი დაუდევრობა ხობელებმა ტყუილად სროლაშიც ჩაიდინეს, სადაც თავისი გუნდი შეჯიბრების დაშთავებიდან სამი საათის ვასკლის შემდეგ ჩამოაყვანეს და ამრიგად, შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

დაბალი შედეგი იქნა ნაჩვენები ძალისხობაში, სადაც ფაქტურად

მხოლოდ ზუგდიდისა და ცხაქაიის გუნდები ებრძოდნენ ერთმანეთს. ამათგანაც მარტო ორმა მონაწილემ უ. ჰირაქაძემ და ა. ხვედელიძემ (ორივე ზუგდიდელი) აჩვენეს მეორე თანრიგის შედეგი. მესამე თანრიგის ჩვენება მხოლოდ ოთხმა სპორტსმენმა შეძლო.

გ. სამსონაძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

საჭილაო ნაკაში

24-25 მაისს ჩოხატაურში ჩატარდა სპორტკაციალის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჰიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სამტრედიის, წულუკიძის, მახარაძის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურის, ზესტაფონისა და ვანის გუნდები. 20 საჯარომა ქულით პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის გუნდმა. მეორეზე არიან წულუკიძის, ხოლო მესამეზე — მახარაძის რაიონის მოქიდავეები. პირად ჩათვლაში ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით ასე განაწილდა: ა. ხუტურაული (სამტრედიის), ე. ზარიძე (ორჯონიკიძის), გ. კოკლაშვილი (სამტრედიის), ვ. გაროზიშვილი (წულუკიძის), გ. ბიჩინაშვილი (სამტრედიის), მ. დანელიშვილი (წულუკიძის), ნ. შევარდნაძე (ზესტაფონის), დ. ზინანიშვილი (სამტრედიის).

ი. ტლაშაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



თბილისის სპორტკაციალის მსვლელობის დროს მძლეოსანმა ვ. ბლიაძემ ქალაქის ჩემპიონის სახელის მოპოვების გარდა ბირთვის კვრაში დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

სურათზე: ვ. ბლიაძე ჰყარავს ბირთვს.
ფოტო ი. იუნავეისა.

თბილისი

თავისუფალი ჰიდაობა

ქალაქის ტრამპორტის მთავარი სამმართველოს სპორტულ დარბაზში დამთავრდა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჰიდაობაში.

შეჯიბრებაში საერთო პირველი ადგილი წილად ხვდა „ბურვეესტნიკს“, მეორე — „დინამოს“, მესამე — „შრ. რეზერვებს“.

უმჩატეს წონაში ნ. გაჩეჩილაძემ („ბურვეესტნიკი“) მოიგო ყველა შეხვედრა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მხატვ წონაში უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ზ. მკვიდრიშვილი. ქვემძიმე ბუქ წონაში პირველობის ერთ-ერთი პრეტენდენტი სპორტის ოსტატი ზ. ძიძიკაშვილი („ბურვეესტნიკი“) ტრავმის გამო მე-5 წრეში გამოეთიშა შეჯიბრებას. ამან ადვილად გაუთავა გზა ჩემპიონობისაკენ ზ. დავლიანიძეს („ბურვეესტნიკი“).

მსუბუქ წონაში კარგად ჩაატარა ყველა შეხვედრა სპორტის ოსტატმა გ. საღარაძემ („ბურვეესტნიკი“). ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა

თავი ქვესაშუალო წონაში, სადაც ნ. ხუგაშვილმა ქულებით სძლია სპორტის ოსტატ ს. ვაბარაევს, ხოლო რ. შენგელიამ („დინამო“) — სპორტის ოსტატ ზ. მკვიდრიშვილს („განთიადი“). ფინალში უკეთესი მდგომარეობა აღმოაჩნდა ნ. ხუგაშვილს, რომელიც პირველ ადგილზე გამოვიდა. საშუალო წონაში უკვე კარგა ხანია ჩემპიონობას არავის უთმობს სპორტის ოსტატი ვ. დავლიანიძე („ბურვეესტნიკი“). დავლიანიძესთან შეხვედრის ფრედ დამთავრება მხოლოდ შეძლო სპორტის ოსტატმა კილასონიამ („განთიადი“).

ქვემძიმე წონაში ჩემპიონობა დაისაკუთრა სპორტის ოსტატმა ა. ზურაბაულმა („ბურვეესტნიკი“), ხოლო მძიმე წონაში უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ა. ვარდოშვილი („კოლმეურნი“).

ი. ჩხარტიშვილი,
სპორტის ოსტატი.

წალაო ხტომა

კოშკიდან ხტომაში ქალთა შორის გამოვიდა მხოლოდ ორი მონაწილე: სპორტკაცი ა. ოვჩინიკოვა და მ. ეროვინა („განთიადი“), 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში კი მონაწილეთა რაოდენობაც მეტი იყო და შედეგებიც უკეთესი. პირველი თანრიგის ნორმატივი აჩვენა სამმა პრიზიორმა — ა. ოვჩინიკო-


ვამ, სპორტის ოსტატმა ტ. ინჭიკიშვილმა („განთიადი“) და ლ. ვასპარიანმა („დინამო“), 1-მეტრიანი ტრამპლინზე ამ შედეგის მიღწევა მხოლოდ ორმა სპორტსმენმა — ტ. ინჭიკიშვილმა და ლ. ვასპარიანმა შეძლო.

შედეგებიც უკეთესად გამოიყურებოდნენ ვაჟები. პირველი თანრიგის შედეგები აჩვენეს ბ. პოლულიაშვილი („დინამო“), ა. ხარჩიკიანმა („ბურვეესტნიკი“), ს. კამოევამ („განთიადი“), გ. ვასპარიანმა („დინამო“), გ. ჭირიამ („ბურვეესტნიკი“) და ვ. ფილატოვმა („განთიადი“). ვინაიდან კოშკიდან მტრელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მხოლოდ სავალდებულო პროგრამით, სპორტსმენთა ნამდვილი სიძლიერის გარ-

კვევა ვერ მოხერხდა. ქულათა მეტი რაოდენობა დააგროვა გ. ვასპარიანმა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „განთიადის“ წარმომადგენლებმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს „ბურვეესტნიკის“ და „დინამოს“ გუნდებმა.

ტექნიკური შედეგები:
ქალები. 1-მეტრიანი ტრამპლინი — 1. ტ. ინჭიკიშვილი — 117,31; 3-მეტრიანი ტრამპლინი — 1. ა. ოვჩინიკოვა — 128,80; 5-მეტრიანი კოშკი — 1. ა. ოვჩინიკოვა — 36,74.

ვაჟები. 1-მეტრიანი ტრამპლინი — 1. ბ. პოლულიაშვილი — 137,45; 3-მეტრიანი ტრამპლინი — 1. ბ. პოლულიაშვილი — 145,39; 10-მეტრიანი კოშკი — 1. გ. ვასპარიანი — 77,53.



სურათზე: სავალდებულო ნახტომს ასრულებს სპორტკაციალის ჩემპიონი ტ. ინჭიკიშვილი.

„რომა“

იტალიის დედაქალაქის კლუბი „რომა“ დიდი ხნის განმავლობაში ცდილობს მეტოქეობა გაუწიოს „ჩრდილოეთის ოთხეულს“ („მინორის“, „ფიორენტინა“, „იუვენტუსი“, „ინტერნაციონალი“), მაგრამ ამაოდ. მას შემდეგ, რაც თავი დაანება თამაშს ცნობილმა შვედმა ცენტრფორვარდმა ჰუნარ ნორდალმა, „რომა“ საქმეები მკვეთრად გაუარესდა. მდგომარეობა ვერ გამოასწორა სხვა უცხოელი ფეხბურთელების მოზიდვამაც („რომა“ კაპიტანია ურუგვაელი ჩეგია, აქვე თამაშობს ბრაზილიელი და კოსტა).

ამას წინათ „რომა“ ხელმძღვანელობამ ყურადღება მიაქცია არგენტინის ნაკრების ახალ ცენტრფორვარდს პედრო მანფრედინის, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. 23 წლის მანფრედინი, რომელიც ტომით იტალიელია, თამაშობს ბუენოს-აირესის ცნობილ კლუბ „რესინგში“. „რომა“ პრეზიდენტი გაემგზავრა არგენტინაში, სადაც „რესინგს“ 9 მილიონი პესო შეაძლია, ხოლო თვით მანფრედინის — 1 მილიონი. 10 მილიონი პესო (83 მილიონი იტალიური ლირა) ახალი სარეკორდო თანხაა. ლომცა შეთანხმება ჯერ საბოლოოდ მიღწეული არაა, მაგრამ მიმომხილველთა აზრით, შეიძლება ითქვას, რომ მანფრედინი „რომაში“ გადავა, ვინაიდან „რესინგ“ ვერ გაუძლებს ასეთ ცთუნებას.

შპლიერის ჩოგბურთელთა მონაწილეობით

რესპუბლიკური ტურნირი საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა მონაწილეობით პირველად თბილისში რამდენიმე წლის წინათ ჩატარდა. ორჯერ ამ ტურნირებში გამარჯვებული აღმოჩნდა ჩეგნი ქვეყნის ჩემპიონი ს. ანდრეევი, ხოლო ქალთა შორის — ვ. ფილიპოვა და ლ. პრეობრაჟენსკაია.

ეს კარგი ტრადიცია მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. ამჟამად ჩეგნი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოდიან საბჭოთა კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელები, რათა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტურნირში, რომელიც დღეს დაიწყო.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის სხვა ჩოგბურთელთა შორის იბრძოლებს საბჭოთა კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ანდრეევი. ამ შესანიშნავ სპორტს-

წერილების კვადრატად

გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი სუსტად მუშაობენ მძლეოსნობის, ველოსპორტის, კალათბურთისა და სხვ. სექციები, არა გვაქვს სპორტული დარბაზი, — გვწერდა ჩვენი გაზეთის მკითხველი.

როგორც საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომიდან გვატყობინებენ, ზემოაღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა განიხილა ტექნიკუმი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხი და დაავალა ტექნიკუმის დირექციას უმოკლეს დროში ნაკლოვანებების სასწრაფოდ გამოსწორება.

მეფის რუსეთის მოხელეებმა ასე დაუხლართეს გზები საქართველოში გამომწვევებულ უცხოელ, მაგრამ ხელისუფლების ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებმაც გართობის მიზნით განიზრახეს თბილისში ჩამოყალიბებინათ ფეხბურთის მოთამაშეთა წრე. აქედან გასაგებია, თუ მთავრობის მოხელეებს ასეთ უნდობლობას უცხადებდნენ, როგორ პოზიციას დაიკავებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოსა და მისი დედაქალაქის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, რომელიც რუსეთის 1905-07 წლების რევო-

გაგრძელება. დასაწყისი. იხ. „ლელო“ № 64.

მცნს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებას ფლობს, ახასიათებს ბრძოლაში ინიციატივის მოპოვების იშვიათი უნარი, რითაც იგი ყოველთვის დამაჯერებლად იმარჯვებს ბრძოლის გადამწყვეტ მომენტებსა და შეხვედრებში.

რესპუბლიკური ჩემპიონატი მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სპორტის ოსტატი ე. ჩუვირინა, თბილისელთათვის კარგად ცნობილი სპორტის ოსტატი ვ. ფილიპოვა, მოსკოვის ჩემპიონი ლ. პრეობრაჟენსკაია, მოსკოვის ჩემპიონი ვაჟა შორის ვ. ნიკიტინი, რომლის აქტიუმი ირიცხება შესანიშნავი გამარჯვება ს. ანდრეევის, რსფსრ-ს ჩემპიონი ვ. ანისიმოვი და სხვები.


ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელები. მათ სათავეში უდგას ახალგაზრდა სპორტის ოსტატი ი. რიაზანოვა, რომელმაც თავი

ლუციაში აქტიურად ჩაება. რევოლუციური მოძრაობით გამოწვეული რეპრესიები, როგორც მოყვანილი დოკუმენტებიდან ჩანს, სპორტულ სფეროსაც შეეხო და ფეხბურთის გუნდის ჩამოსაყალიბებლად მთელი რიგი ინსტანციების გადასახვა შეიქნა საჭირო. „კომეტას“ მთავარმა ორგანიზატორმა ა. ელზენგერმა ფარ-ხმალი არ დაყარა და 1907 წლის 21 თებერვალს თავის ერთ-ერთ ახლობელს, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეჭირა, სპორტეო წერილი გაუგზავნა. იგი დაბეჭდილებით თხოვდა დახმარება გაეწია თბილისში ფეხბურთის გუნდის დაკანონებისა და თამაშზე ნებართვის მიღების საქმეში. ამავე

გი გამოიჩინა გაბედული, აქტიური თამაში. უფროს „კოლეგებთან“ ერთად ითანამშრომლებს. რ. აბეანდაძე, რომელმაც სულ ახლახან, მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაზე ფინალურ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

თბილისის სპორტკაიდაზე ჩემპიონის წოდება მიიღო პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ა. ვერულავამ, რომელმაც გასული ზამთრის პერიოდში დაამარცხა საბჭოთა ჩოგბურთის ვეტერანი, ჩეგნი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ს. ფრიდლიანი. საქართველოს სპორტულ ლირსებს დაიცვენ აგრეთვე რესპუბლიკის ჩემპიონი გ. ლარიაშვილი, ლ. მინარიშვილი, მისი ძმა — 15 წლის მზარდი ჩოგბურთელი ნ. მინარიშვილი და სხვ.

ტურნირში მონაწილე საქართველოს ყველა წარმომადგენელი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრია.



ისინი მონდომებით ემზადდებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპორტკაიდასათვის. ზემოაღნიშნული ტურნირი ერთ-ერთი ღონისძიებაა, რომელსაც მიიხსრება დიდი როლი ჩვენს ჩოგბურთელთა სპორტული ოსტატობის ამაღლებაში. იგი სპორტკაიდასათვის ძალთა გენერალური შემოწმების საუკეთესო საშუალებაა.

3. კანდელაკი, საქართველოს ჩოგბურთის სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

★
სარატოვის სპორტის სასახლესთან შენდება დასურული საკუროაუზი (21x50 მეტრზე). ეს იქნება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი საწვლონსო აუზი.

★
სურათზე: ლითონის თაღის დადგმა. წინა პლანზე — ელექტროშემდუღებელი ვ. გოსტევი. ფოტო ე. სოკოლოვისა.

დროს კოლექტიური თხოვნით მიმართეს თბილისის გუბერნიის მმართველს. აი ეს 1907 წლის 21 თებერვლით დათარიღებული განცხადება: „მის აღმატებულებას თბილისის გუბერნიის ბატონიშვილს. ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა თბილისის წრე „კომეტას“ დამარცხებულთა განცხადება. თქვენი აღმატებულების კანცელარიის ა. წ. 12 იანვრის № 117 განცხადების შედეგად საზოგადოებებისა და კავშირების 1906 წლის 4 მარტის დროებითი წესების 17-22 მუხლების საფუძველზე პატივი გვაქვს ამასთანავე ერთად 2 გზემალარად წარმოვიდგინოთ ზემოდასახელებული წრის ჩვენს მიერ შემუშავებული და სათანადოდ დამოწმებული წესდება და 4 მანეთი და 65 კაპიკი, რომელიც საჭიროა ამ ორგანიზაციის დაარსების შემსახებ გაზეთში გამოსაქვეყნებელი განცხადებისათვის. განცხადებას თან ერთვის აგრეთვე ჩვენი კანონიერი უფლებამოსილებისა და ხელმოწერის სინამდვილის ნოტარიალური დამოწმება. ა. ელზენგერი, ა. ვააზე, თ. გენინ, თ. კორტუმი“. საარქივო საქმეში მართლაც ჩაყრებულა ნოტარიუსის მიერ სათანადოდ შედგენილი, დამოწმებული და სახელმწიფო საბაჟო გამოსაღებთა და ბეჭდით განმტკიცებული საბუთი.

ფეხბურთის პირველი ოფიციალური გუნდის დაკანონებისათვის საჭირო იყო აგრეთვე თბილისის გუბერნიის საზოგადო საქმეთა ადმინისტრაციის გადაწყვეტილება. ამიტომ „კომეტას“ დაარსების საკითხი მოსმენილ იქნა 1907 წლის 23 თებერვალს ხსენებულ საკრებულოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გუბერნატორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ვიცე-გუბერნატორი ა. ვ. ჩერნიავსკი. სამსჯავრო სხდომას გაწერებოდნენ: თბილისის ოლქის

სასამართლოს პროკურორი ნ. მ. ბრანდორფი, თბილისის სახელმწიფო პალატის მმართველი ვ. ფ. რსტრუფსკი, ქალაქის თავის მოვალეობის შემსრულებელი თე. ნ. ვ. ჩერნიავსკი და კანცელარიის კანცელარიის მმართველის საქმეთა მწარმოებელი ე. ი. უმანცევი.

სათანადოდ გაფორმებული სხდომის ყურნალიდან ჩანს, რომ მათ დეტალურად განუხილავთ „კომეტას“ წესდება, გულმოდგინედ გაუჩხრკიათ თვითნებულ წინადადებას და უდიდესი სიფრთხილით მოკიდებინათ ახალ სპორტულ ორგანიზაციას. ამ ვრცელი ფორმალური პროცედურის შემდეგ სამსჯავრომ გადაწყვიტა:

„ამრიგად, თბილისში ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა თბილისის წრის“ წესდების პროექტის განიხილებისას აღმოჩნდა, რომ იგი ყოველმხრივ აკმაყოფილებს საზოგადოებებისა და კავშირების წესების 21-ე მუხლს. ხელმძღვანელობს რა 23-25 მუხლების იმეფ წესებით, გუბერნიის საზოგადო საქმეთა საკრებულომ დაადგინა: აღნიშნული სახელწოდების საზოგადოებას შემოაქვს დამატებითი რეესტრი, რის შესახებაც გაკეთდეს წარწერა წესდების პროექტის წარმოდგენილ გზემალარებზე და გაიგზავნოს სტატიები თანახმად დადგენილი წესებისა „სენატის განცხადებებსა“ და გაზეთ „კავკასში“ ორგანიზატორთა მიერ შემოტანილი 4 მანეთისა და 60 კაპიკის ანგარიშში.“

ამ ვრცელსა და „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეპისტოლეს“ დიდს გულმოდგინებით აწერენ ხელს ა. ჩერნიავსკი, ვ. რსტრუფსკი, ნ. ბრანდორფი, ნ. ჩერნიავსკი და უმანცევი.

(გაგრძელება იქნება)

პირთი გურთის საიდუმლოება

თუ იცით, სად არის ახლა ის ბურთი, რომლითაც ჩაატარეს ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალური შეხვედრა? მორის გიგი, რომელმაც ეს შეხვედრა იმსახა, ფიქრობს რომ ბურთი, რომელმაც ხუთჯერ შეარბია შედეგების კარის ბადე, ხოლო ორჯერ — ბრაზილიელების ბადე, მის სახლში, შავი ხის ქვესაღამზე დევს.

თქვენ ალბათ გახსოვთ, თუ როგორ შეხვდა ეს სუვენირი მ. გიგს. როცა მიიწერა ფინალური შეხვედრის უკანასკნელი წამი, გიგმა მისცა თამაშისა და საერთოდ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების ნიშანი და შემდეგ ყურადღება არც მიუქცევია ბრაზილიელებისათვის, რომლებიც აღფრთოვანებით ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს, ისე გაიქცა ბურთისაკენ. მაგრამ მან ვერც მოასწრო ამ ძვირფასი სუვენირის ხელში აღება, რომ იგი ვიღაცამ გამოსტაცა... ბურთი ვაჭარ... მართი ამერიკომ, ბრაზილიელთა გუნდის მასაჟისტმა, ზუსტად შეასრულა წინასწარ შემუშავებული გეგმა. ტრადიცია, რომლის ძალითაც ასეთ შემთხვევაში ბურთი მსაჯს უნდა დარჩეს, მას არასწორად მიაჩნდა. მაგრამ ფეხბურთის „განცხადება“ ვერ შეძლო. პოლიციელის (გიგი პროფესიით პოლიციელია) გაქურდვა, ბრაზილიელებმა აიძულეს ამერიკო უკან დაებრუნებინა გატაცებული ნადავლი და მანაც თავიჩაქინდრულმა, ბურტყუნით

იქვე გასახდელში გადასცა პირსახოცში შეხვეული ბურთი.

გასულ შემოდგომაზე გიგი, როგორც საპატიო სტუმარი, მიწვეული იყო ბრაზილიაში, სადაც იმსახა რამდენიმე შეხვედრა. თქვენს წარმოდგინეთ რა განიცადა გიგი, როცა „გაზეთა ესპორტეაში“ წაიკითხა შენიშვნა, რომ ამერიკული შეავადინა გიგი და ჩვეულებრივ სავარჯიშო ბურთი შეატყუა, ხოლო თვითონ ორიგინალი დაიტყუა. ამერიკომ უარყო გაზეთის ცნობა და მას მორიგი კოლუმწიფი უწოდა. მაგრამ გიგს ახლა გასენდა პირსახოცი და მასში შეხვეული საკმაოდ გაცვეთილი ბურთი. სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ უკანასკნელ შეხვედრაში მასზე დაარტყეს არა უმეტეს 2000-ჯერ, ხოლო ბურთი გამოშვებები ფიგმა ამტკიცებდა რომ მათი პროლუქციის მარტეტი ბურთით შეიძლებოდა ჩემპიონატის ყველა შეხვედრის ჩატარება ისე, რომ მას არაფერი შეეტყუებოდა. მაგრამ ხომ შეუძლებელია ეს მხოლოდ და მხოლოდ რეკლამა იყოს?

მინც სად არის ნამდვილი ბურთი, რომლითაც ფინალური შეხვედრა ჩატარდა?

შეიძლება ამერიკოს სახლში შავი ხის ქვესაღამზე დევს? მაგრამ ეს ცბიერი აღამიანი (ერთადერთია, რომელმაც იცის ნამდვილი ამბავი) ჭერჭერობით დღეს.

(ურჩხალი „სპორტინეი იგროს რედაქტორი ი. უგუზაბა